საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

**დამტკიცებულია**
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2013 წლის 16 დეკემბრის
№1028 დადგენილებით
**მოდიფიცირებულია**
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 20 აგვისტო
№01-05-04/130 დადგენილებით

# ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

**პროგრამის სახელწოდება**

| |
|---|
| არქეოლოგია |
| Archaeology |

**ფაკულტეტი**

| |
|---|
| საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი |
| Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences |

**პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები**

| |
|---|
| ასოცირებული პროფესორი მერაბ ძნელაძე |

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

| |
|---|
| არქეოლოგიის ბაკალავრი<br>(Bachelor of Archaeology)<br>მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების 205 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 35 კრედიტის ათვისების შემთხვევაში, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულებისას. |

**სწავლების ენა**

| |
|---|
| ქართული |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

| |
|---|
| ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. |

**პროგრამის აღწერა**

| |
|---|
| პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა შეადგენს ძირითადი სწავლის |

სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების 205 კრედიტს და თავისუფალი კომპონენტების სახით 35 კრედიტს.
თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისგან.
**პირველ სასწავლო წელს** სტუდენტი შეისწავლის 13 სასწავლო კურსს, რომელთაგან 5 კრედიტი არჩევითია.
**მეორე სასწავლო წელს** სტუდენტი შეისწავლის 13 სავალდებულო სასწავლო კურსს აქედან 5 კრედიტი ეთმობა დაზვერვით პრაქტიკას.
**მესამე სასწავლო წელს** სტუდენტი შეისწავლის 13 სასწავლო კურსს, რომელთაგან 5-5 კრედიტი ეთმობა საველე და სამუზეუმო პრაქტიკებს.
**მეოთხე სასწავლო წელს** სტუდენტი შეისწავლის 5 სავალდებულო სასწავლო კურსს (25კრედიტი). მათ შორისაა საველე პრაქტიკა - სტაციონარული გათხრები (5 კრედიტი) და საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი). 35 კრედიტი კი ეთმობა თავისუფალ კომპონენტებს, რომელთაგან 20 კრედიტს აითვისებს VII სემესტრში, ხოლო 15 კრედიტს VIII სემესტრში.
საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესი იხილეთ: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/2sabalavro_%20nashromi_%202019_SD.pdf
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა პრაქტიკის ჩატარებისა და შეფასების წესი იხილეთ:
https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/praqtika_18_SD.pdf
სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“, რომელიც მოცემულია სტუ-ის ვებ გვერდზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

**პროგრამის მიზანი**

პროგრამის მიზანია მოამზადოს ძველი კულტურებისა და ცივილიზაციების შემსწავლელი დარგის თეორიული, საველე სამუშაოების წარმართვის, არქეოლოგიური მასალის დამუშავებისა და ტექნიკური ანალიზის ტექნოლოგიების პრინციპების, კულტურული მემკვიდრეობის მართვის, დაცვის, კონსერვაციის და რესტავრაციის - აღიარებული პრიორიტეტების და პროფესიული ეთიკის ნორმების ცოდნით აღჭურვილი პრაქტიკოსი სპეციალისტი.

**სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)**

- აცნობიერებს არქეოლოგიის მნიშვნელობას კაცობრიობის წარსულის შესწავლისა და ისტორიული პროცესების გააზრებისთვის, განიხილავს მას სხვადასხვა (ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ბიოლოგიური, ქრონოლოგიური) პერსპექტივიდან;
- ავლენს ფართო ცოდნას არქეოლოგიის დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, არქეოლოგიის დარგობრივი ტერმინოლოგიის, თეორიების, მიდგომების, მეთოდების, არქეოლოგიური ძეგლების, არტეფაქტების პერიოდიზაციისა და დათარიღების პრინციპების შესახებ.
- არქეოლოგიურ მონაცემების მოპოვებისას იყენებს დარგისთვის სპეციფიკურ უნარებს (საკვლევი ობიექტის მოძიების, ჩაწერის/ჩახატვის, საველე მუშაობის, საველე ჩანაწერების გაკეთების, გათხრების წარმოების, მოპოვებული მასალების გაზომვის, ანალიზის, ზოგიერთი არქეომეტრიული მეთოდების გამოყენების, ინტერპრეტირებისა

და დაარქივების) წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

- განიხილავს არქეოლოგიური აღმოჩენების ან/და არტეფაქტების შესახებ ტრადიციულ მოსაზრებებს, ახდენს სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის ფორმისა და შინაარსის/მონაცემების ინტერპრეტაციასა და ანალიზს;
- საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების საშუალებით მოიძიებს რელევანტურ აკადემიურ წყაროებს, აგროვებს მონაცემებს და აანალიზებს მათ, ლოგიკური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული დასკვნების მისაღებად სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობისას ეფუძნება გუნდურობის, დროის ეფექტიანი მართვის პრინციპებს;
- არქეოლოგიური ინფორმაციის/მასალის/მონაცემების აღწერისას და ინტერპრეტაციისას იცავს მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს;
- აცნობიერებს ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისა და ცივილიზაციების შესახებ არსებულ განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებსა და შეხედულებებს - როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს.

**სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები**

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☒ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა ☒ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები, რომელიც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსში):

1. **დისკუსია/დებატები;**
2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;**
3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა;**
4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);**
5. **დემონსტრირების;**
6. **ინდუქციური;**
7. **დედუქციური;**
8. **ანალიზის;**
9. **სინთეზის;**
10. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;**
11. **წერითი მუშაობის;**
12. **ახსნა-განმარტებითი;**
13. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.**
14. ევრისტიკული მეთოდი;
15. **პრაქტიკული მეთოდები;**
16. **წიგნზე მუშაობა;**
17. **დამოუკიდებლად სწავლა;**
18. **გონებრივი იერიში;**
19. **წერილობითი ნაშრომის მომზადება**

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**დასაქმების სფერო**

საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება საქმიანობა არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის კვლევის და დაცვის პროფილის დაწესებულებებში, მუზეუმებში.

**სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

**პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია თანდართულ დოკუმენტებში.

**თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 71**

**პროგრამის საგნობრივი დატვირთვა**

| № | საგანი | დაშვების წინაპირობა | ECTS კრედიტი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | |
| | | | სემესტრი | | | | | | | |
| | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
| **1** | **უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)** | | | | | | | | | |
| 1.1 | უცხოური ენა (ინგლისური) - B1.1 | არ აქვს | 6 | | | | | | | |
| 1.2 | უცხოური ენა (გერმანული) - B1.1 | | | | | | | | | |
| 1.3 | უცხოური ენა (ფრანგული) - B1.1 | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.4 | უცხოური ენა (რუსული) - B1.1 | | | | | | | | | |
| 2 | გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 | არ აქვს | **4** | | | | | | | |
| 3 | საქართველოს ისტორია და კულტურა | არ აქვს | **5** | | | | | | | |
| 4 | წერითი და ზეპირი კომუნიკაციები | არ აქვს | **5** | | | | | | | |
| 5 | არქეოლოგიის საფუძვლები | არ აქვს | **5** | | | | | | | |
| 6 | მსოფლიო ცივილიზაციები | არ აქვს | **5** | | | | | | | |
| 7 | საქართველოს ისტორიული გეოგრაფია | საქართველოს ისტორია და კულტურა | | **3** | | | | | | |
| 8 | სახვითი ხელოვნების ნიმუშის პროფესიული აღწერა | არ აქვს | | **5** | | | | | | |
| 9 | საქართველოს ისტორიული ეთნოლოგია | საქართველოს ისტორია და კულტურა | | **3** | | | | | | |
| 10 | გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2 | გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 | | **4** | | | | | | |
| 11 | საქართველოს არქეოლოგია | არქეოლოგიის საფუძვლები | | **4** | | | | | | |
| **12** | **უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)** | | | | | | | | | |
| 12.1 | უცხოური ენა (ინგლისური) - B1.2 | უცხოური ენა (ინგლისური) - B1.1 | | **6** | | | | | | |
| 12.2 | უცხოური ენა (გერმანული) - B1.2 | უცხოური ენა (გერმანული) - B1.1 | | | | | | | | |
| 12.3 | უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2 | უცხოური ენა (ფრანგული)- B1.1 | | | | | | | | |
| 12.4 | უცხოური ენა (რუსული) - B1.2 | უცხოური ენა (რუსული) - B1.1 | | | | | | | | |
| 13 | შრომის უსაფრთხოება არქეოლოგიაში | არ აქვს | | | **3** | | | | | |
| 14 | ნუმიზმატიკა | საქართველოს ისტორია და კულტურა | | | **3** | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | სახვითი ხელოვნების ნიმუშის პროფესიული აღწერა | | | 6 | | | | | |
| 16 | შესავალი არქიტექტურაში | არ აქვს | | | 6 | | | | | |
| 17 | საველე არქეოლოგია | არ აქვს | | | 4 | | | | | |
| 18 | პალეოლითმცოდნეობა | არქეოლოგიის საფუძვლები | | | 3 | | | | | |
| **19** | **უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)** | | | | | | | | | |
| 19.1 | უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1 | უცხოური ენა (ინგლისური) -B1.2 | | | 5 | | | | | |
| 19.2 | უცხოური ენა (გერმანული) - B2.1 | უცხოური ენა (გერმანული) -B1.2 | | | | | | | | |
| 19.3 | უცხოური ენა (ფრანგული) - B2.1 | უცხოური ენა (ფრანგული) -B1.2 | | | | | | | | |
| 19.4 | უცხოური ენა (რუსული) - B2.1 | უცხოური ენა (რუსული) -B1.2 | | | | | | | | |
| **20** | **უცხოური ენა (ერთ-ერთი ენა არჩევით)** | | | | | | | | | |
| 20.1 | უცხოური ენა ( ინგლისური) - B2.2 | უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1 | | | | 5 | | | | |
| 20.2 | უცხოური ენა (გერმანული) - B2.2 | უცხოური ენა (გერმანული) - B2.1 | | | | | | | | |
| 20.3 | უცხოური ენა (ფრანგული) - B2.2 | უცხოური ენა (ფრანგული) - B2.1 | | | | | | | | |
| 20.4 | უცხოური ენა (რუსული) - B2.2 | უცხოური ენა (რუსული) - B2.1 | | | | | | | | |
| 21 | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | | | | 6 | | | | |
| 22 | მასალათმცოდნეობა | არ აქვს | | | | 5 | | | | |
| 23 | ახალი ქვის ხანის არქეოლოგია | პალეოლითმცოდნეობა | | | | 4 | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | მინერალოგიის შესავალი | არ აქვს | | | | 5 | | | | |
| 25 | საველე პრაქტიკა - დაზვერვითი სამუშაოები | საველე არქეოლოგია | | | | 5 | | | | |
| 26 | პალეონტოლოგიის საფუძვლები | არ აქვს | | | | | 5 | | | |
| 27 | მუზეუმმცოდნეობა | არ აქვს | | | | | 3 | | | |
| 28 | რესტავრაცია-კონსერვაციის საფუძვლები | მასალათ-მცოდნეობა | | | | | 5 | | | |
| 29 | პალეოგრაფია | არ აქვს | | | | | 3 | | | |
| 30 | ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია | ახალი ქვის ხანის არქეოლოგია | | | | | 5 | | | |
| 31 | ხატვა | არ აქვს | | | | | 4 | | | |
| 32 | არქეოგეოფიზიკა | არ აქვს | | | | | 5 | | | |
| 33 | სიძველეთა ტექნიკური ანალიზი | რესტავრაცია - კონსერვაციი ს საფუძვლები | | | | | | 6 | | |
| 34 | გეოეკოლოგია | არ აქვს | | | | | | 5 | | |
| 35 | ანტიკური არქეოლოგია | ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია | | | | | | 4 | | |
| 36 | სამუზეუმო პრაქტიკა | მუზეუმ-მცოდნეობა | | | | | | 5 | | |
| 37 | საველე პრაქტიკა | საველე არქეოლოგია | | | | | | 5 | | |
| 38 | არქეოლოგიური ნახატი | ხატვა | | | | | | 5 | | |
| 39 | შუა საუკუნეების არქეოლოგია | ანტიკური არქეოლოგია | | | | | | | 5 | |
| 40 | კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი | არ აქვს | | | | | | | 5 | |
| 41 | საველე პრაქტიკა - სტაციონარული გათხრები | საველე პრაქტიკა | | | | | | | | 5 |
| 42 | საბაკალავრო ნაშრომი | ყველა ძირითდი სასწავლო კურსი, გარდა VIII სემესტრით განსაზღვრუ ლი სასწავლო კურსებისა | | | | | | | | 10 |
| | **არჩევითი სასწავლო კურსები** | | | 5 | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 43.1 | კულტურა და თანამედროვეობა | არ აქვს | | - | | | | | | |
| 43.2 | სოციოლოგია | | | - | | | | | | |
| 43.3 | პოლიტოლოგია | | | - | | | | | | |
| | **თავისუფალი კომპონენტები** | | | | | | | | **20** | **15** |
| 44.1 | საქართველოს კულტურული ცხოვრება XIX-XX სს-ში | არ აქვს | | | | | | | 5 | |
| 44.2 | ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა | | | | | | | | 5 | |
| 44.3 | რელიგიების ისტორია | | | | | | | | 5 | |
| 44.4 | მენეჯმენტის საფუძვლები | | | | | | | | 5 | |
| 44.5 | მინისა და კერამიკის ზოგადი ტექნოლოგია | | | | | | | | 5 | |
| 44.6 | კრიტიკული აზროვნება | | | | | | | | 5 | |
| 44.7 | გამოყენებითი ფსიქოლოგია | | | | | | | | 5 | |
| 44.8 | გემოლოგიის საფუძვლები | | | | | | | | 5 | |
| 45.1 | კულტურის ხელშემწყობი და შემოქმედებითი ორგანიზაციები საქართველოში | | | | | | | | | 5 |
| 45.2 | საიუველირო ნაკეთობთა დიზაინი | | | | | | | | | 5 |
| 45.3 | საიუველირო ტექნოლოგიები | | | | | | | | | 5 |
| 45.4 | ახალი რიტორიკა - საჯარო კამათის ტექნოლოგიები | | | | | | | | | 5 |
| 45.5 | შესავალი ფერთამცოდნეობაში | | | | | | | | | 5 |
| 45.6 | ქართული ნაქარგობის ტექნოლოგიები | | | | | | | | | 5 |
| | | **სემესტრში** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** | **30** |
| | | **წელიწადში** | **60** | | **60** | | **60** | | **60** | |
| | | **სულ** | **240** | | | | | | | |

### პროგრამის სასწავლო გეგმა

| № | საგნის კოდი | საგანი | ECTS კრედიტი/საათი | საათი | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ლექცია | სემინარი (ჯგუფში მუშაობა) | პრაქტიკული | ლაბორატორიული | პრაქტიკა | საკურსო სამუშაო/პროექტი | შუალედური გამოცდა | დასკვნითი გამოცდა | დამოუკიდებელი მუშაობა |
| 1.1 | LEH19212G1-P | უცხოური ენა (ინგლისური) - B1.1 | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |
| 1.2 | LEH18812G1-P | უცხოური ენა (გერმანული) - B1.1 | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |
| 1.3 | LEH18612G1-P | უცხოური ენა (ფრანგული) - B1.1 | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |
| 1.4 | LEH19012G1-P | უცხოური ენა (რუსული) - B1.1 | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |
| 2 | ICT15008G1-LB | გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 1 | 4/100 | 15 | | | 15 | | | 1 | 1 | 68 |
| 3 | HEL20312G1-LS | საქართველოს ისტორია და კულტურა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 4 | LEH11912G1-LS | წერითი და ზეპირი კომუნიკაციები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 5 | HEL22112G1-LS | არქეოლოგიის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 6 | HEL22012G1-LS | მსოფლიო ცივილიზაციები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 7 | HEL22212G1-LS | საქართველოს ისტორიული გეოგრაფია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 8 | ART30912G1-LP | სახვითი ხელოვნების ნიმუშის პროფესიული აღწერა | 5/125 | 15 | | 30 | | | | 2 | 2 | 76 |
| 9 | HEL29212G1-S | საქართველოს ისტორიული ეთნოლოგია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 10 | ICT15108G1-LB | გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები 2 | 4/100 | 15 | | | 15 | | | 1 | 1 | 68 |
| 11 | HEL22512G1-LS | საქართველოს არქეოლოგია | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 12.1 | LEH19312G1- | უცხოური ენა (ინგლისური) - | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | P | B1.2 | | | | | | | | | | |
| 12.2 | LEH18912G1-P | უცხოური ენა (გერმანული) - B1.2 | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |
| 12.3 | LEH18712G1-P | უცხოური ენა (ფრანგული) - B1.2 | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |
| 12.4 | LEH19112G1-P | უცხოური ენა (რუსული) - B1.2 | 6/150 | | | 60 | | | | 1 | 1 | 88 |
| 13 | HHS22503G1 -LB | შრომის უსაფრთხოება არქეოლოგიაში | 3/75 | 15 | | | 15 | | | 1 | 1 | 43 |
| 14 | HEL22912G1-LS | ნუმიზმატიკა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 15 | HEL22412G1-S | მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | 6/150 | 30 | 30 | | | | | 2 | 2 | 86 |
| 16 | AAC18406G1-LK | შესავალი არქიტექტურაში | 6/150 | 10 | | | | | 50 | 2 | 2 | 86 |
| 17 | HEL23012G1-LP | საველე არქეოლოგია | 4/100 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 68 |
| 18 | HEL20312G2-LS | პალეოლითმცოდნეობა | 3/75 | 15 | | 15 | | | | 1 | 1 | 43 |
| 19.1 | LEH10412G1-P | უცხოური ენა (ინგლისური) - B2.1 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 19.2 | LEH11212G1-P | უცხოური ენა (გერმანული) - B2.1 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 19.3 | LEH10812G1-P | უცხოური ენა (ფრანგული) - B2.1 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 19.4 | LEH11612G1-P | უცხოური ენა (რუსული) - B2.1 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 20.1 | LEH10512G1-P | უცხოური ენა ( ინგლისური) - B2.2 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 20.2 | LEH11312G1-P | უცხოური ენა (გერმანული) - B2.2 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 20.3 | LEH10912G1-P | უცხოური ენა (ფრანგული) - B2.2 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 20.4 | LEH11712G1-P | უცხოური ენა (რუსული) - B2.2 | 5/125 | | | 45 | | | | 1 | 1 | 78 |
| 21 | HEL22712G1-LS | საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები | 6/150 | 30 | 30 | | | | | 2 | 2 | 86 |
| 22 | HEL22812G1-LS | მასალათმცოდნეობა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 23 | HEL20412G2-LS | ახალი ქვის ხანის არქეოლოგია | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 24 | PHS36903G1-LB | მინერალოგიის შესავალი | 5/125 | 15 | | | 30 | | | 1 | 2 | 77 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25 | HEL29312G1-R | საველე პრაქტიკა - დაზვერვითი სამუშაოები | 5/125 | | | | | 75 | | | 2 | 48 |
| 26 | PHS37903G2-LSP | პალეონტოლოგიის საფუძვლები | 5/125 | 15 | 15 | 15 | | | | 1 | 1 | 78 |
| 27 | HEL23112G1-LS | მუზეუმმცოდნეობა | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 28 | HEL23212G1-LB | რესტავრაცია-კონსერვაციის საფუძვლები | 5/125 | 15 | | | 30 | | | 1 | 1 | 78 |
| 29 | HEL22612G1-LS | პალეოგრაფია | 3/75 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 43 |
| 30 | HEL29912G1-LS | ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 31 | ART31806G1-P | ხატვა | 4/100 | | | 75 | | | | 2 | 2 | 21 |
| 32 | PHS37403G1-LP | არქეოგეოფიზიკა | 5/125 | 15 | | 30 | | | | 1 | 1 | 78 |
| 33 | HEL23312G1-LS | სიძველეთა ტექნიკური ანალიზი | 6/125 | 30 | 30 | | | | | 1 | 1 | 88 |
| 34 | PHS35703G1-LP | გეოეკოლოგია | 5/125 | 15 | | 30 | | | | 1 | 1 | 78 |
| 35 | HEL20112G2-LS | ანტიკური არქეოლოგია | 4/100 | 15 | 15 | | | | | 1 | 1 | 68 |
| 36 | HEL23412G1-R | სამუზეუმო პრაქტიკა | 5/125 | | | | | 75 | | | 2 | 48 |
| 37 | HEL23512G1-R | საველე პრაქტიკა | 5/125 | | | | | 90 | | | 3 | 32 |
| 38 | ART31906G1-P | არქეოლოგიური ნახატი | 5/125 | | | 90 | | | | 2 | 2 | 31 |
| 39 | HEL20212G2-LS | შუა საუკუნეების არქეოლოგია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 40 | PES15813G1-LS | კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 41 | HEL29012G1-R | საველე პრაქტიკა - სტაციონარული გათხრები | 5/125 | | | | | 90 | | | 3 | 32 |
| 42 | HEL23612G1-K | საბაკალავრო ნაშრომი | 10/250 | | | | | | 90 | 2 | 2 | 156 |
| 43.1 | SOS40513G1-LS | კულტურა და თანამედროვეობა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 43.2 | SOS40212G1-LS | სოციოლოგია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 43.3 | SOS20213G1-LS | პოლიტოლოგია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 44.1 | HEL23812G1-LS | საქართველოს კულტურული ცხოვრება XIX-XX სს-ში | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 44.2 | LEH11812G1-LS | ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 44.3 | HEL10112G1- | რელიგიების ისტორია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | LS | | | | | | | | | | | |
| 44.4 | BUA34313G1-LS | მენეჯმენტის საფუძვლები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 44.5 | EET16004G2-LS | მინისა და კერამიკის ზოგადი ტექნოლოგია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 44.6 | SOS48112G1-LS | კრიტიკული აზროვნება | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 44.7 | SOS32512G1-LS | გამოყენებითი ფსიქოლოგია | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 44.8 | PHS37503G1-LB | გემოლოგიის საფუძვლები | | 15 | | | 30 | | | 1 | 2 | 77 |
| 45.1 | HEL23712G1-LS | კულტურის ხელშემწყობი და შემოქმედებითი ორგანიზაციები საქართველოში | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 45.2 | ART22505G1-LS | საიუველირო ნაკეთობთა დიზაინი | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |
| 45.3 | PHS37103G1-LB | საიუველირო ტექნოლოგიები | 5/125 | 15 | | | 30 | | | 1 | 1 | 78 |
| 45.4 | LEH15412G1-LS | ახალი რიტორიკა - საჯარო კამათის ტექნოლოგიები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 2 | 2 | 76 |
| 45.5 | AAC63006G1-LK | შესავალი ფერთამცოდნეობაში | 5/125 | 8 | | | | | 37 | 1 | 2 | 77 |
| 45.6 | ART31012G1-LS | ქართული ნაქარგობის ტექნოლოგიები | 5/125 | 15 | 30 | | | | | 1 | 1 | 78 |

პროგრამის ხელმძღვანელი მერაბ ძნელაძე

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

**მიღებულია**
ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
12 დეკემბერი 2013 წელი

**შეთანხმებულია**
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

**მოდიფიცირებულია**
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
13 აგვისტო, 2021 წელი
ოქმი №65

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი